წელიწადი მე-2-ე
ტელეფონი № 76.
კვირა, 22 მაისი

სამშობლო

№ 361

გაზეთის ფასი:
წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

განცხადების ფასი:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

მღვდ. სპირიდონ ლეკვეიშვილი, ექიმი სერაპიონ დადუნაშვილი, კოტე ბერეკაშვილი, ეპიფანე კანდელაკი, რაჟდენ კანდელაკი, ნიკოლოზ აფხაიძე და ია ეკალაძე — ცინცაძე გულითადი მწუხარებით აუწყებენ ქართველ საზოგადოებას, რომ გერმანიაში ტყვეობის დროს უდროოდ გარდაიცვალა მათი სიყრმისა და სკოლის ამხანაგი, ცნობილი პუბლიცისტი

ლადო დარჩიაშვილი.

პანაშვიდი დანიშნულია მთავარანგელოზის ეკლესიაში თერთმეტ საათზე კვირას, 22 მაისს 2—1

გაზ. „სამშობლოს" რედაქცია მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ კვირას, 22 მაისს, მთავარანგელოზის ეკლესიაში თერთმეტ საათზე გადახდილი იქნება პანაშვიდი გერმანიაში უდროოდ გარდაცვალებულის — ქართველი პუბლიცისტის

ლადო დარჩიაშვილის

სულის მოსახსენებლად. 2—1

კვირას, 22 მაისს დილის 10 საათზე საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

ნადეჟდა სერაფიონის ასულის კახიანის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთა და მეგობართ გულდამწვარნი დედა ეკატერინე ივანეს ასული შენგელიასი, ქმარი გიორგი ნიკოლოზის ძე კახიანი, დები: ანა სერაფიონის ასული გელოვანისა, თამარი სერაფიონის ასული მეუხარგიასი და ელისაბედ სერაფიონის ასული შენგელიასი; ძმები: ალექსანდრე, კონსტანტინე, ნიკოლოზ და გიორგი სერაფიონის ძენი შენგელიები.
177 2—1

ულრმესი მწუხარებით გულდამწვარნი: ექიმი გიორგი გაბრიელის ძე ნიჟარაძე, დედა მისი მაილ ჯაფარიძის ასული ნიჟარაძისა, და ლუბა გაბრიელის ასული და ძმა პიმენ გაბრიელის ძე ნიჟარაძე აუწყებენ ნათესავებსა და ნაცნობ-მეგობართ გარდაცვალებას ქ. ტფილისში მძიმე და ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ პირველის უსაყვარლესის მეუღლისა ხოლო უკანასკნელნი უძვირფასესის რძლისას

ბაბო იასონ გელოვანის ასულის ნიჟარაძისას,

რომლის ცხედარსაც ტფილისიდან ქუთაისში მოასვენებენ ორშაბათს, 23 მაისს, დილის 9 საათზე და წაასვენებენ ლეჩხუმისაკენ იმავე დღეს 12 საათზე, მექვენაში ღამის გათევის შემდეგ მიასვენებენ ს. ახალჭალას, სადაც დაკრძალვენ გელოვანთა საგვარეულო აკლდამაში ოთხშაბათს, 25 მაისს, დილის 12 საათზე.

მძიმე და ხან-მოკლე ავადმყოფობის შემდეგ 17 მაისს ტფილისში გარდაიცვალა

ბაბო იასონ გელოვანის ასული ნიჟარაძისა

რასაც მწუხარებით გულდათუთქულნი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს: დედის ნაცვალი კ-ნა ივდითი ლორთქიფანიძის ასული გელოვანისა, ძმა, თ-დი შოთა იასონის ძე გელოვანი, რძალი კ-ნა ელენე ფარსადანის ასული გელოვინისა და დისწულები გუგულა და ზინა კვიტაშვილები. მიცვალებულს ტფილისიდან ქუთაისში მოასვენებენ ორშაბათს, 23 მაისს, დილით 9 საათზე, საიდანაც ლეჩხუმისაკენ წაასვენებენ იმ დღესვე 12 საათზე. მექვენაში ღამის გათევის შემდეგ მიასვენებენ სოფ. ახალჭალას, სადაც დაკრძალვენ გელოვანთა საგვარეულო აკლდამაში ოთხშაბათს, 25 მაისს, დილის თორმეტ საათზე

ღრმა მწუხარებით გულდათუთქულნი თ-დი დისიონ ზაკაცის ძე, კნ. პაშა, კნიაჟნა ცავრნი, თ-დი შალვა ახვლედიანები და ეკატერინე დოდელიანისა აუწყებენ ნათესავებსა და ნაცნობ მეგობრებს, რომ ტბილისში მძიმე და ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა უსაყვარლესი მიძაშვილი

ბაბო იასონ გელოვანის ასული ნიჟარაძისა,

რომლის ცხედარსაც ტბილისიდან მოასვენებენ ქუთაისში ორშაბათს, 23 მაისს, დილის 9 საათზე, სადგურიდან ლეჩხუმისკენ წაასვენებენ იმ დღესვე 12 საათზე. ღამეს გაათევენ მექვენაში და შემდეგ მიასვენებენ სოფ. ახალ-ჭალას, სადაც დაკრძალვენ გელოვანთა საგვარეულო აკლდამაში ოთხშაბათს, 25 მაისს, დილის 12 საათზე.

უღრმესად დამწუხრებულნი ჰელაგო ივანეს ასული თ-დ მაყაშვილისა, ნადეჟდა ივანეს ასული ქუთათელაძისა, ივანე ივანეს ძე ქუთათელაძე, თინა (თინათინ) და გოგი (გიორგი) ქუთათელაძეები, ნინო და თამარ მაყაშვილები, იოსებ გიორგის ძე ქუთათელაძე და იოსებ ზაქარიას ძე თ-დი მაყაშვილი უგულითადესის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთა და მეგობართ, რომ დღეს, კვირას, 22 მაისს, დ. ხონში, მაცხოვრის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის პირველთა უსაყვარლესის და დაუვიწყარ დედის, მეორეთა ბებიის და უკანასკნელთა სიდედრის

გულქან გაბრიელის ასულის ქუთათელაძის

სულის მოსახსენებლად.
წირვა და პანაშვიდი დაიწყება დღის 12 საათზე.

ელექტრო **„რადიუმ"** თეატრი

ხუთშაბათიდან, 19 მაისიდან **გასტროლები**

ლინა კავალიერისა.

დედამიწის ზურგზე ულამაზესი ქალი და ბრილიანტების დედოფლად წოდებული პირველად გამოდის ეკრანზე.

სიკვდილის მეუღლე.

დიდათ დასურათხატებული დრამა ხუთ ნაწილად.

პროლოგი. ამ ქვეყნიური სამოთხე.

1 ნაწ. პირველი დისონანსი, 2 ნაწილი სამოთხიდან გამოქცევა, 3 ნაწ. პარიზის ბოლში, 4 ნაწ. საბედისწერო სურათი, 5 ნაწ. მოჭმუხნული ყვავილები.
მოქმედება სწარმოებს რომსა და პარიზში. ეს დრამა საზოგადოებაზე უკვდავ შთაბეჭდილებას სტოვებს. ეს სურათი ქ. მოსკოვში 32-ჯერ ზედიზედ იქნა ნაჩვენები და ყოველთვის ხალხით იყო გაჭედილი.

ანონსი: ორშაბათიდან, 23 მაისიდან **პატე ჟურნალი** № 341. მიმდინ. ამბები.

ქალი, რომელზეც არ ღირს ლაპარიკი,

ძლიერი დრამა 5 ნაწილად ვავიჩისა და პავლოვის მონაწილეობით.

ელექტრო **„ამპირი"** თეატრი

ხუთშაბათიდან, 19 მაისიდან ახალი პროგრამა. **პატე ჟურნალი** № 340. მიმდინ. ამბები.

ბრჭყალებში.

მხატვრული დრამა ხუთ ნაწილად ცნობილ იტალიელ მსახიობ ქალის ესპერის და მსახიობთა ემილიონ ჰიონეს და ალბერტო კოლოს მონაწილეობით.

ანონსი: ორშაბათიდან, 23 მაისიდან ახალი პროგრამა. **ქრონიკა გომონი** 38 ბ. მიმდინარე ამბები.

ვნებათა ღელვა. ძლიერი დრამა 4 ნაწილად ცნობილ მსახიობთა: მოზჟუხინისა და ლისენკოს მონაწილეობით.

ადგილების ფასი **„ამპირსა"** და **„რადიუმში"**; ლოჟა 85 კაპ., 1 ადგ. 75 კაპ., 2, 50 კაპ., 3, 30 კაპ. მოწაფეთათვის: 2 ადგ. 30 კაპ., ჯარის კაცთათვის მესამე ადგილი 20 კაპ.

ვენახის საწამლათ.

იყიდება ცნობილი ქაკმენის სითხე, რომელიც ვაზს იცავს შემდეგ სნეულებისაგან: მილდიუმიდან, იოდიუმიდან და სხვადასხვა მავნე მწერისაგან. ამ სითხით წამლობენ შვიდი წლის განმავლობაში და ნაყოფიც დიდია.

წამლობისათვის საჭიროა კოლოფი (ფხვნილი) **„ტრინდენისა"**. იყიდება აგრეთვე პულვერიზატორი და სამარგელი მანქანა ვენახებისათვის.

მისამართი: სავაჭრო სახლი „კლოჟგურული" ქუთაისი, კახიანოური. თვ.

ექიმი გაბრიელ იოსების ძე **გოკიელის** ელექტრინისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. საათ 6-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

ექიმი შალვა კოკოჩაშვილი იღებს ბავშთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშუადღევის 1—3 საათ. და საღამოს 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ნიჟარაძის №. 46, ტელეფონი № 87
14 თ

ექიმი ი. ჩარექოვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს. (სისხლში შესხმა „606" და „914") დილით, $12^1/_2$-. საათ. საღ. 6—8 საათ.
მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიხეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

ექიმი ა. მ. ასათიანი. რადგანაც სამსახურის გამო ესენტუკში გაიწვიეს მინერალურ წყლების ჯგუფის ექიმად მან ავათმყოფების მიღება 1 აგვისტომდის შესწყვიტა.

ექიმი მულინი. ყელის, ცხვირის და ყურების ლებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა. თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა. 10

ბებია მ. მ. კოხრეიძე უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

უმაღლეს კურსდამთავრებული ჯგუფი

ამზადებს

მოწაფეებს საშუალო სასწავლებელთა ყველა კლასებისათვის და აგრეთვე სხვადასხვა მოწმობის მისაღებ გამოცდებისათვის.
პირობების გაგება შეიძლება საღამოს, ყოველ დღე შემდეგი მისამართით: თბილისის ქ. სახლი გიორგი გურგენიძისა. თ.

გამოცდილი მასწავლებელი

სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ყველა სასწავლებლისთვის ხელმისაწვდომ ფასებში.
მისამართი: გაზ. **„სამშობლოს"** რედაქც.

მსოფლიო ომი.

დეპეშები.

უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისა.

დასავლეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. 19 მაისი. ოფიციალი. მთელ ასპარეზზე თოფის და საარტილერიო სროლაა. ჩვენი ჰაერის ორი ესკადრა მტერს თავს დაესხა. ერთმა მფრინავმა სოლის მიდამოებს დაუშინა, სმორგონის ჩრდილო-დასავლეთით, მეორემ — 14 მფრინავიდან სადგურ განევიჩს, სარნა-კოველის რკინის გზაზე პირველმა ჩამოაგდო 48 ყუმბარა, მეორეთ 66. მფრინავები ყველანი მშვიდობით დაბრუნდენ.

შავი ზღვა.

ჩვენმა წყალქვეშამ 5 ხომალდი დალუპა და ერთიც სევასტოპოლში მოიყვანა.

კავკასიის ასპარეზი.

17 მაისს, ბაიბურთის მიმართულებით მტერმა ძლიერი ძალით სამი იერიში მოიტანა ერთს ჩვენ ადგილზე, მაგრამ იძულებული იყო უკან დაეხია. მეორეს მხრივ მტრის გაძლიერებულმა ჯარმა, მამახათუნთან ჩვენს წინ წაწეულ ადგილებს გარ შემორტყმა დაუპირა. მამახათუნი ჩვენმა ჯარმა დასტოვა მის შემდეგ, როდესაც ხიდი ავაფეთქეთ. დიარბექირის მიმართულებით ოსმალთა ჯარმა და ქურთების ცხენოსნებმა იერიში მოიტანეს, რომელიც მოგერებულ იქნა.

პარიზი. 18 მაისი. საღამოს ოფიციალი. მაასის მარცხენა ნაპირზე მოპირდაპირემ ცეცხლი გაუჩინა ავოკურის და „304" სიმაღლის მიდამოებს. დაჟინებით იერიშის შემდეგ, მორტჰომის სამხრეთ-დასავლეთით სანგრები დავიჭირეთ და 220 კაცი დავატყვევეთ. მაასის მარჯვენა ნაპირზე, მაასისა და ვოს შუა ორივე მხრის არტილერია მოქმედებდა. ჩვენი არტილერია მედგრად ესროდა მტრის ჯგუფებს, ფოსის ტყის ჩრდილოეთით. სროლამ დაჟინებითი ხასიათი მიიღო მეტცელარისა და ჰარტმონ-სვეილერკოფის აღმოსავლეთის მიდამოებში.

პარიზი. 19 მაისი. დღის ოფიციალი. მაასის მარჯვენა ნაპირზე არტილერია მხნედ მოქმედებდა. მორტჰომის მიდამოებში გერმანელთა იერიშები მოვიგერიეთ დუომონთან სასტიკი საარტილერიო ბრძოლაა. წინა ღამით ფრანგთა მფრინავებმა ტიონვილზე 20 და ანდენლერომონზე 50 ყუმბარა ჩამოყარეს.

რომი. შტაბის ცნობა. ლედროს ჩრდილოეთით და რივას მიდამოებში მოპირდაპირე საალყო სიმაგრეებს ამრავლებს. ლაგორინის ველებში მტერმა საშინელი იერიშით წამოიწია, მაგრამ მოვიგერიეთ. პასუბიოს უბანში საარტილერიო ბრძოლაა. ფორნიეტალის მიმართულებით მტრის იერიშები მოვიგერიეთ. პოზინის და ზემო ასტიკოს შუა ომი გრძელდება. გუშინ კამპალიის მიდამოებში მტერი უკუვაქციეთ. კარნიაში და იზონცოში საარტილერიო ბრძოლაა, განსაკუთრებით სან მარტინის მიდამოებში. იტალიელებმა დასცალეს პრიაფორის სიმაგრეები და ესიაგოს მაღლობებზე კორბინის ადგილი.

ომის დღიური.

ვერდენთან გერმანელებმა, ორი დღის საარტილერიო ბრძოლის შემდეგ, მაასის მარცხენა ნაპირზე ერიში მიიტანეს იერიშები მიაქვთ აგრეთვე მაასის მარჯვენა ნაპირზედ, რომელთაც ფრანგები იგერიებენ.

აღმოსავლეთ ასპარეზზე ჰაერით მოქმედება სწარმოებს ორივე მხრით.

კავკასიის ასპარეზზე რუსებმა დასტოვეს მამახათუნი, სამაგიეროთ წინ იწევენ ბაღდადის მიმართულებით.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

რიგასთან გერმანელები შეეცადენ რუსეთის ჯარის რაოდენობის შეტყობას ამ ბოლო დროს რიგის რაიონში გერმანელები ჯავშნიან ავტომობილებით გამოდიოდენ.

— —

პოლესიეში დიდი სიცივეები დაიჭირა მინსკში ერთ არშინამდე თოვლი ყოფილა

— —

კრეოსთან საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს. გერმანელები აქ წინ წამოწევას ლამობენ, მაგრამ რუსები აჩერებენ.

— —

გერმანიის დიპლომატიის აზრით, სერ ედუარდ გრეის საზავო წინადადებას გერმანია ვერას დროს ვერ მიიღებსო.

— —

ისპანიის საზავო კომიტეტს განუცხადებია, რომ ჯერ ზავის ჩამოგდების მომენტი არ დამდგარაო.

— —

— —

იტალიის ასპარეზზე კვლავ შეტევითი ბრძოლა სწარმოებს. ავსტრიელები 10-ვერსის მანძილზე შეიჭრენ იტალიის მიწა-წყალზე, იტალიელებს აზრად ჰქონიათ ჯერ ჯერობით მოგერიებითი ომი აწარმოონ.

— —

ოსმალეთისა და ბულგარეთის სამხედრო შტაბების შორის მოლაპარაკებაა გამართული. ოსმალეთი სთხოვს ბულგარეთს ერთი დივიზია თავის ჯარისა ევროპის ოსმალეთის ნაწილის დასაცავად გამოიყვანოს.

— —

კავკასიის ასპარეზზე ოსმალები რევან დუზისთან განაგრძობენ შემოტევას. ბაღდადის მიმართულებით სიწყნარე ჩამოვარდა. ხარფუთთან ოსმალეთის ორი კორპუსი ყოფილა. ჯევად ფაშა მოსულის რაიონში მოქმედებს.

— —

შავს ზღვაზე სიწყნარეა. ანატოლიის სანაპიროებს დრო გამოშვებით უშენს რუსეთის ესკადრა. ოსმალთა მხრივ ჯერ არავითარი წინააღმდეგობა არას სჩანს

ფრანც იოსებს რუმინიის საგარეო საქმეთა მინისტრისათვის თავის ორდენი უბოძებია.

— —

ბულგარეთის ფრონტზე სიწყნარე ჩამოვარდა.

— —

მიტავასთან გერმანელებს ყველა დანგრეული სიმაგრე აღუდგენიათ.

— —

ამერიკის გემებზე დაუწესრიგებიათ ახალი აპარატები, რომელმაც წყალ-ქვეშას თავ დასხმა უნდა გაიგოს.

— —

სმირნის ვალად დაუნიშნავთ ნარვი ფაშა ბალკანეთის ბრძოლის დროს ადრიანოპოლის დამცველი.

— —

შუქრიფაშა ტრიპოლში ყოფილა.

— —

ინგლისის მეფეს საყოველთაო ბეგარის მოსახდელი განკარგულება გამოუცია.

— —

მდინარე ტიგროსთან წვრილმანი შეტაკებები ოსმალ-ინგლისელთა შორის დაწყებულა.

— —

იტალიის ფრონტზე ბრძოლის სრული ინიციატივა ავსტრიელების ხელში გადასულა.

— —

აბესინიაში ამბოხებას ელიან. ამბოხების მომწყობად გერმანელებს სთვლიან.

— —

ვერდენთან შორს მსროლელ ზარბაზანს ერთი ჰაეროპლანი ამოუღია მიზანში და დაუშენია.

რამდენიმე წუთის შემდეგ ჰაეროპლანი ჩამოვარდნილა. ჩამოვარდნილ ჰაეროპლანში ფრანგებს შეუმჩნევიათ, რომ ადამიანის ფიგურა უძრავად იჯდა როდესაც გაუსინჯავთ, აღმოჩენილა, რომ იგი ხელოვნური კაცი ყოფილა.

— —

სტამბოლში ზღვის სანაპიროებთან, როგორც აზიისა, ისე ევროპის ნაწილში, 12 დიუმიანი ზარბაზანი დაუდგავსთ. ქალაქში საალყო წესებია გამოცხადებული. მოქალაქეთ მხოლოდ 9 საათამდი შეუძლიათ ქუჩაში სიარული. სამხედრო პირებს კი 12 საათამდე.

სამხედრო მიმოხილვა.

წარსული წლის დასასრულს თითქმის ბრძოლის ყველა პირმა გერმანიისთვის სასარგებლო მოხაზულობა მიიღო. ამ გვარათ მომავალ ბრძოლებში გერმანიას მეტი უპირატესობა ენიჭებოდა გამარჯვებისა. ამ გამარჯვების გასაქარწყლებლათ და მომავალი წარმატების თავიდან ასაცდენათ მოკავშირეებმა საერთო გეგმა შეადგინეს შეტევისა. როგორც ახლა საბოლოოდ ირკვევა, ეს გეგმა ვერ განხორციელდა, რასაც ს დიმიტრიევიც ასაბუთებს თავის წერილში. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგანაც მოკავშირეებმა დაარღვიეს უმთავრესი კანონი სტრატეგიისა; მოკავშირეებმა ქვეყანა შეჰყარეს გაზაფხულზე ყველა ბრძოლის პირით საერთოდ უნდა შევუტიოთ მტერსო. ამნაირად, ეს შეტევა მოულოდნელი აღარ იყო მოპირდაპირისათვის და მან მოკავშირეთა გეგმის ჩასაფუშად შესაფერი ზომები დროით მიიღო. ამ საქმეში მტერს დიდი სამსახური გაუწიეს ისევ სამაგალითო ორგანიზაციამ, ტეხნიკამ და თავის მოკავშირეთა დისციპლინამ. აღმოსავლეთის ასპარეზი ძლიერ გაამაგრა მტერმა და ამას რომ დაუმატოთ ამ ბრძოლის პირზე გაზაფხულის წყალდიდობა, ნათელი გახდება ის გარემოება თუ რუსეთმა ვერ შესძლო გერმანეთში შეჭრა ვერდენთან თვითონ დაადგენ შეტევითი ტაქტიკას გერმანელები, რის მნიშვნელობაც წინა წერილებში აღვნიშნეთ. იტალეთის ფრონტზე ავსტრიელთა გაძლიერებული ჯარი და ძლიერი პოზიციები შეუძლებელს ხდიდენ იტალიელების შეტევას. სალონიკთან მოკავშირეები ვერ დაადგენ შეტევითი ტაქტიკას იმიტომ, რომ 300,000 კაცი მოკავშირეთა ვერ შეუტევდა გამაგრებულსა და გათამამებულ ბულგარელთ, მით უმეტეს, რუმინიისა და საბერძნეთის მდგომარეობა გამოურკვეველი იყო. მესოპოტამიაშიც უწყლოობის გამო შეფერხდა საქმე და რჩა კავკასიის ასპარეზი, სადაც არც შემოსეული რუსების მოგერიება შეიძლებოდა და მით უფრო შეტევა უგზოობისა და ყუმბარების შედარებითი სიმცირის გამო. რუსთა ღრმა შესევა კი გერმანიისათვის სასარგებლო იყო, რადგანაც რუსეთი ამ ოპერაციით თავის ძალებს დააბანდებდა და ვეღარ შეუტევდა თვით გერმანიას, როცა საქმე გამოკეთდებოდა ამ ასპარეზსაც უშველიდენ. სწორედ ამ შველის დასაწყისად უნდა ჩაითვალოს ოსმალთა მიერ მამახათუნის აღება.

შვერელი

სადღეისოდ.

„ჩვენი უბედურება, ჩვენი მტერი ჩვენი მოსისხლე მტერი ჩვენივე გაუგებრობაა, ჩვენივე უცოდინარობა და უმეცრებაა. დროა თვალი გავახილოთ, დროა ჩვენც გავიგოთ და შევიტყოთ რამე ქვეყნიერებისა...

შავბნელი, დუხჭირი ცხოვრებით გულგატეხილნი ჩვენ გავიძახოდით: გლეხკაცის გაჩენაში ღმერთი არა ჰრევიაო და თავს კი იმითი ვიმშვიდებდით, რომ მთა და ბარი არავის გაუსწორებიაო. მე დღეს მთა და ბარის გასწორებაზე არ გელაპარაკებით, მაგრამ ჩვენც თუ კაცები ვართ, თვალები გვიხელია და თავზე ქუდი გვხურავს, ჩვენც უნდა გვქონდეს ერთი ადგილი დედამიწაზე, ჩვენკენაც უნდა მოდიოდეს ერთი სხივი ბრწყინვალე მზისა.. შრომა და ჯაფა ხომ ჩვენი საქმეა. მაშ, ჩვენც უნდა გვედოს წილი ადამიანურ ცხოვრებაში! ხალხნო! შრომა დიდი მადლი, დიდი წყალობაა, მაგრამ შრომა სამართლიანი, მხოლოდ და მარტო სამართლიანი შრომა... სამართალი... სამართლიანობა და კიდევ სამართლიანობა!“..

ასე ალაპარაკებს ქართველ გლეხს ლადო დარჩიაშვილი, ის ლადო დარჩიაშვილი, რომელსაც ასე გულწრფელად დასტირიან დღეს მისი სიყრმის ამხანაგები და მთელი დემოკრატია საქართველოისა.

ერთით, თითქმის ახალს არას ამბობს ჩვენი ლადო, რადგანაც ყველა ზემოდ ნათქვამი დღეს საანბანო ჭეშმარიტებად არის გადაქცეული, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ დროსა, პირობებსა და მომენტს, როცა ეს სიტყვები ითქვა, დავინახავთ, რომ ლადო დარჩიაშვილის ასეთის თვალსაზრისით გამოსვლა ახალი მოვლენა იყო (და არის) ჩვენს ცხოვრებაში.

ლადო დარჩიაშვილის ასეთი ღაღადისი ამთელებდა იმ ხიდს, რომელიც ჩასტეხა ოთხმოცდაათიან წლების ახალგაზდათა ჯგუფებ შორის „ჩვენმა გაუგებრობამ“ და, რომელი ხიდიც საუბედუროთა და სამწუხაროდ ჩვენდა, დღესაც ჩატეხილია, დიაღ ჩატეხილია, ვინაიდგან ჯერაც ვერ გამოვრკვეულვართ ჯგუფურ თუ პარტიულ შთაგონებიდან და კრიტიკულად შეფასება ამა თუ იმ ავტორიტეტის სიტყვა-მოძღვრებისა ზოგს ხალხის ღალატი ჰგონია და ზოგს სამშობლოს გაყიდვა!

დღესაც რომელიმე ფანატიკოსი ამა თუ იმ ჯგუფისა ვერ ინელებს მართალ სიტყვას, მართალ შენიშვნას და ეს მართალი ხალხისა და დემოკრატიის გმობა და მტრობა ჰგონია.

დღესაც მეთქი იქამდის ვერ გამოვფხიზლებულვართ, რომ ჩვენი გულწრფელი და პატიოსანი მოპირდაპირე კაციჭამია და მოღალატე გვგონია!

დღესაც ჩვენი პარტიული გაზეთები სავსეა ხოლმე ცილის წამებითა და შხამბალღამით ამა თუ იმ „არა ჩვენი კაცის“ წინააღმდეგ, თუნდა [illegible] თელივით დამდნარიყოს [illegible] დღეო საკურთხეველზე და [illegible] დახრაკულიყოს იმ ცეცხლზე, რომელსაც სამშობლოისა და მშრომელი ხალხის სიყვარული ჰქვიან....

დღესაც რომელიმე ნაჭირნახულევი და ნდობა მოპოვებული „ლიდერი“ ამა თუ იმ პარტიისა ხშირად ბოროტად ხმარობს ხოლმე ხალხის ამ ნდობას და გულ უბრყვილო მუშებსა თუ დემოკრატებს ისეთ რამის შესახებ აწერინებს პროტესტებს, რომელსაც არ ახლავს არც ისტორიულ-ქრონოლოგიური და არც ლიტერატურულ-ეთიკური სიმართლე და ჰმოწმობს მხოლოდ დამჯერობას უმიზეზოდ აღშფოთებულ პროტესტანტებისას *)

როდის ჩატყდა ეს ხიდი ოთხმოცდაათიან წლების ახალთაობის შორის და ან როდის უნდა გამთელდეს იგი?

ამ საკითხის პირველ ნახევარს მოკლე მაგრამ საყურადღებო ისტორია აქვს, მეორე ნახევრის შესახებ კი ვიტყვი: ისევ ლადოსთანა პუბლიცისტების მოღვაწეობა თუ გაამთელებს ამ ხიდს, თორემ ჯერ ჯერობით, საუბედუროდ, გადაჭრით ვერას მოგახსენებთ...**)

კერძო საკუთრება ეროვნულ-დემოკრატიული თვალთახედვით.

სოციალისტები მდაბიო ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვას თავის პრივილეგიად აღიარებენ, და ყოველს არასოციალისტურ მიმართულებას--გაბატონებული, სვებედნიერი კლასების განსაკუთრებული ინტერესების დამცველად სთვლიან.

ეს იმასა ჰგავს, ძველად რომ მართლმადიდებელნი ფიქრობდენ, მხოლოდ ჩვენ გვიპყრია ხელში კაცთა ცხონების თილისმა, არამართლმადიდებელნი, განდგომილნი, მწვალებელნი კი თავის მოაზრეთ სასუფევლის ნაცვლად ჯოჯოხეთს უმზადებენო.

მაგრამ ხალხის ბედი მარტო უტოპისტებისამარა რატომ უნდა იყოს?! რომელი სიმართლისა და მეცნიერების ძალით?! ჩვენ კი, პირიქით, გვგონია, რომ მათი გზა შემცდარია, მათი რწმენა — თავის მოტყუებაა და, მაშასადამე, ისინი მშრომელ ხალხს თავისდა უნებურად და პირებული სამოთხის ნაცვლად სოციალურ მოუწესრიგებლობასა და პურის წილ ქვას აჩეჩებენ ხელში!

მეორე მხრით, ეროვნული დემოკრატია ისეთს გზას ადგია, რომელსაც სწორედ და უეჭველად შეუძლია მიგვაახლოოს ისეთს სოციალურ წესწყობილებას, რომელშიაც განხორციელებული იქნება ერთსადაიმავე დროს თავისუფლებაცა და საერთო კეთილდღეობაც. როგორია ეს გზა?

არა ერთჯერ გვითქვამს, რომ ეროვნული დემოკრატია უარყოფს ეგრეთწოდებულ კომუნიზმსა და აღიარებს კერძო საკუთრების პრინციპს.

კომუნიზმი — საერთო წარმოებასა და თანასწორ განაწილებას მოასწავებს. კომუნისტური სახელმწიფო იყო, მაგალითად, ძველად პერუში (იხ. ამის შესახებ ლეტურნოს „სოციოლოგია“) არა თუ მუშაობა, და ჭირნახულის განაწილება, არამედ ცოლის შერთვაც კი სახელმწიფოს მიერ იყო მოწესრიგებული. ერთი სიტყვით, ხსენებული სოციალური ფორმა — მონობის უკიდურეს განსახიერებას წარმოადგენდა.

წარსულ საუკუნეში კომუნიზმის ბრმა თაყვანისმცემლებმა ბევრი კომუნა დააარსეს ავსტრალიაში, მაგრამ ვერცერთმა ვერ იცოცხლა, რადგან პიროვნების თავისუფლება ვერ შეურიგდა და ვერ მოემარჯვა კომუნის დამმონავებელ დისციპლინას.

ამგვარად, აუარებელი კომუნა აღიგავა პირისაგან ქვეყნისა აგრეთვე ამერიკაში და, თუ ზოგიერთი კიდევ მცონარეობს, ახალი კომუნების დაარსების ხალისი აღარავის მოეპოება.

მაშასადამე, სოციალურმა ცდამ კომუნის უვარგისობა და შეუძლებლობა — უკვე დაამტკიცა.

მართალია, კომუნისტები არა ტყდებიან და ამბობენ: ორასი კაცისაგან შემდგარი კომუნა ერთობ პატარაა და კომუნა მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როდესაც მთელი სახელმწიფო ერთ კომუნად გადაიქცევაო. მაგრამ ამგვარი მსჯელობა ყოველსავე მეცნიერულ ღირებულებას მოკლებულია. რომელიმე სოციალური ფორმის ტიპი არ იცვლება მით, დიდია სოციალური კრებული თუ პატარა, რადგან მის ნიშნობლივს, დამახასიათებელ თვისებას ოდნობა კი არა, ვითარება, რომელობა, წარმოადგენს.

მეორე მხრით, თუ კი პატარა კომუნასაც უჭირს თავის წევრთა ურთიერთობის ჯეროვანი მოწესრიგება, დიდი კომუნისტური სახელმწიფოსთვის ხომ ეს — ყოვლად შეუძლებელი იქნება. დიაღ! სოციალური მოწესრიგება მით უფრო ძნელი და შეუძლებელია, რამდენადაც უფრო დიდია კომუნა. და, მაშასადამე, როდესაც კომუნისტები უზარმაზარს სახელმწიფოებრივ კომუნებზე მიგვითითებენ, ამით ისინი საძიებელ საკითხს არა თუ მარტივად არა სჭრიან, არამედ კიდევ უფრო ართულებენ, აბნელებენ და აძნელებენ.

ამგვარად, მრავალჯერ განმეორებული სოციალური ცდა ჩვენ გვემოწმება და ჩვენ მიერ არჩეულ სოციალურ გზასა და მიმართულებას ამართლებს და ადასტურებს.

რატომ უარვყოფთ აგრეთვე ეგრეთწოდებულს მიწის საერთოს, სათემო მფლობელობას? ამ აგრარული ურთიერთობის დროს თვითეული მემამულე ცალკე მუშაობს და საკუთარ ინიციატივას მოკლებული არ არის, მაგრამ მესაკუთრენი ერთმანეთს შორის დროგამოშვებით მიწებს თანასწორად ინაწილებენ. მაშასადამე, მიწის მფლობელობის ამ ფორმას — ინდივიდური, განთვსებული, წარმოება და დროგამოშვებითი, ანუ პერიოდული, თანასწორი განაწილება ახასიათებს და, ცხადია, პიროვნების საკუთარი სარგებლობის წყურვილსა და ინიციატივას ხელს უცარავს.

მართლაც, რისთვის უნდა დახარჯოს მესაკუთრემ თავისი ენერგია თავისი მამულის გაუმჯობესებაზე, თუ კი იცის, რომ ოდესმე გაუმჯობესებულ მამულს ხელიდან გამოაცლიან?! რამღა უნდა წააქეზოს მისი შრომის მოყვარეობა და ხალისი, ინიციატივა და შემოქმედება? როგორც ისტორია გვასწავლის, მიწის სათემო მფლობელობა მხოლოდ ძწყესურისა და პირველყოფილი სამეურნეო საფეხურის ხანაში ყოფილა გამეფებული და ინტენსიურის, განვითარებული სამეურნეო საფეხურის დროს, როგორც შრომის ნაყოფიერობის ხელის შემშლელი, კერძო საკუთრებას უთმობდა ადგილს.

რაც შეეხება საქართველოს, ისტორიას არ ახსოვს, როდის მოეღო ბოლო აქ სათემო მიწისმფლობელობას, რომელიც მხოლოდ კავკასიონის მთებშიღა დაშთენილა და ისიც მარტო საძოვრებზე. და ბაღებისა და ვენახების ქვეყანაში კერძო საკუთრების სათემო მიწისმფლობელობად გადაქცევა ყოველსავე საფუძველს მოკლებული ოცნებაა.

მაშ რისთვის აღვიარებთ კერძო საკუთრებას? უპირველესად მისთვის, რომ სოციალურ-ეკონომიური ურთიერთობის ამგვარი ფორმა პიროვნების ინიციატივისა და შემოქმედებითი მუშაობისა და, მაშასადამე, შრომის ნაყოფიერობისა და წარმოების გაუმჯობესებისა და განვითარების პირობას წარმოადგენს, და, მეორე, მშრომელის პირადი სარგებლობისაგან შობილ შეძენის სურვილსა და მიდრეკილებასა და, მაშასადამე, შრომის მოყვარეობას ახალისებს და აქეზებს, რასაც განმავითარებელი და განმანაყოფიერებელი ეკონომიური მნიშვნელობავე აქვს.

აღვიარებთ თუ არა ქონებრივ მემკვიდრეობას? უთუოდ, რადგან მესაკუთრე, რომელიც დარწმუნებულია, რომ მისი ქონება მის შვილსა და მომავალს გადაეცემა, მეტი ხალისითა და ენერგიით მოეკიდება თავის საწარმოო საშუალებათა გაუმჯობესების საქმეს. მაშასადამე, არ უნდა აღმოვფხვრათ მწარმოებელში ის ძლიერი ინდივიდური, განთვისებითი, ვნება, რომელიც ყოველისავე წარმატების ერთ-ერთს აღმამოძრავებელ ბიძგსა და მიზეზს წარმოადგენს.

მაგრამ ერთი მხრით ქონებრივი მემკვიდრეობისა და მეორე მხრით პირადი ნიჭისა და ინიციატივასაგან ხომ ქონებრივი და, მაშასადამე, სოციალური უთანასწორობა იშობება, რომელსაც თავისი მხრით არასასურველი შედეგები მისდევს?! და თანავუგრძნობთ თუ არა ისეთს ურთიერთობას, რომ მთელი სიმდიდრე ერთს მუჭა მესაკუთრეს ჩაუვარდეს ხელში, ხალხის უმრავლესობა კი უკიდურეს სიღატაკეში დარჩეს?

ეს — ერთობ უპირობო, ყოვლად აბსოლუტური მსჯელობაა. ის კი არა გვწადია, რომ ზოგი გამდიდრდეს, ზოგი კი გაღარიბდეს და ერთმა თავისი ბედნიერება სხვის უბედურობაზე ააშენოს, არამედ ის, რომ ქონებრივი უთანასწორობის მიუხედავად ღატაკად არავინ დარჩეს.

დეე, გამდიდრდეს ზოგიერთი! ნუ შეუკრავთ გზას კერძო ინტერესსა და პირად ინიციატივას, სოციალური წინსვლის ამ აღმამოძრავებელ მიზეზებს. დეე, თვითეული მოქალაქე ცდილობდეს თავის საკუთარი კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, რადგან ეს ცდა სოციალური პროგრესის აუცილებელი პირობაა. მაგრამ იმავე დროს საზოგადოება მოვალეა გაამაგროს და გააღონიეროს თვითეული წვრილი მესაკუთრე და მის ბოგანოდ გადაქცევასა და გაპროლეტარებას ხელი შეუშალოს. მეტი კიდევ: საზოგადოება მოვალეა გაბოგანებული, გაპროლეტარებული მუშები და არა მუშები მესაკუთრეებად გადააქციოს და, მაშასადამე, მათ

---

*) მაგალითად, დასელები დაჟინებით გაიძახიან: ი. ევდოშვილი მხოლოდ ილიას მოკვლის შემდეგ მიეკედლა ჩვენ „მტრებსაო“ (ე. ი. ჩვენ, არადასელებს) ეს კი ყოველგვარ სიმართლეს არის მოკლებული. ი. ევდოშვილი ჯერ კიდევ 1898—99 წლებში მუშაობდა ჩემთან ერთად ილიას „ივერიაში“. მას შემდეგ არა ერთი და ორი თავისი საუკეთესო ლექსი მოუთავსებია „ნაციონალისტების“ ორგანოებში. 1905 წელს ხომ,—წელს დიდი ხალხოსნური მოძრაობისას,— იგი თითქმის მუდმივი თანამშრომელი იყო განახლებულის „ივერიისა“ და თავისი სახელოვანი ლექსი „მუზა და მუშა“ ეს,—ასე ვსთქვათ,— თვალი, შედევრი, კვინტ-ესენცია მისის პოეზიისა, დაისტამბა სწორედ ამ „ივერიაში“ (იხ. „ივერია“ 1905 წლისა, № 147, შაბათი, 6 აგვისტო. იმ დროს, როცა ილიას მოკვლაზე ფიქრიც კი სისხლს გაუყინავდა, ვინც უნდა ყოფილიყო, არამც თუ ვისმე გაებედნა მისი მოკვლა! მაშასადამე აქ არაფერს შუაშია არც ევდოშვილის „ღალატი“ და არც „ილიას სისხლით ვაჭრობა“ ყველა ასეთი წამოძახილი მხოლოდ დემაგოგიური და ჩვენებურ გულ-უბრყვილო დემოკრატიის მოსატყუებელი ხრიკებია და სხვა არაფერი. ეჭვი არ არის რომ, შემდეგში, როცა ჩვენი მშრომელი ხალხის თვით-გამოერკვევა, სწავლა ცოდნას შეიძენს, შეისწავლის ჩვენ მწერლობასა და პრესის ვითარება—რაობას, როდესაც თვით მასსა იქმნება მსჯავრის დამდები ამ თუ იმ მოვლენისა და არა თითო ოროლა მქადაგებელი, თუ „ლიდერი“, მაშინ ყველაფერი გამოირკვევა. **ი. ე.**

**) ადვილი შესაძლებელია, რომ რომელიმე უცაბედმა ისტორიულმა მოვლენამ, ისეთმა მოვლენამ, რომელიც სიკვდილით დაემუქრებ ჩვენ ხალხს და ყველა პარტიებს, ძალიან მალეც გაამთელოს ეს ხიდი და ეს იქნება ყველაზე დიდი ბედნიერი დღე ჩვენის დემოკრატიისთვის ..

როგორც არა ერთხელ მითქვამს და დამიწერია, 1894 წელს, ეგნატე ნინოშვილის გარდაცვალების დღიდან, მაშინდელი ქართველი ახალგაზდობა შესდგა წმინდა დემოკრატიულ გზაზე. ეგრედ წოდებული პროგრამა „მინიმუმი" დემოკრატიულის დასისა სახარებად გადაიქცა ყველა მაშინდელის ახალგაზდისათვის, რომელმაც კი განიზრახა საზოგადო ასპარეზზე გამოსვლა. ამ მინიმუმ პროგრამას მოჰყვა დამუშავება „მაქსიმუმ" პროგრამისა და აი აქედან იწყება ერთგვარი „აზრათა უთანხმოება" ერთგვარი ძებნა სხვა და სხვა გზებისა. ყველაზე დიდი განხეთქილება გამოიწვია „ეროვნული საკითხის" გადაწყვეტა-ჩამოყალიბებამ. ამ დავის დროს ერთნი დადგენ მარქსისტულ თვალსაზრისზე, მეორენი კი ილიას სკოლის მოძღვრებაზე...

დაიწყო კამათი, გათიშვა, განცალკევება, ერთმანეთზე დაშორება.

ერთი მხარეცა და მეორეც უკიდურესობაში ჩავარდა.

ახალმა აზრებმა, ახალმა მეთოდმა ბრძოლისამ, ახალმა საგანმა ამ ბრძოლისამ (დემოკრატიის უფლებამოსილება) ხალხიც აიყოლია და ვინც უფრო ბევრს დაჰპირდა ამ ხალხს, რასაკვირველია ხალხიც იმისკენ გადიხარა.

ამას ზედ დაერთო მტკიცე ორგანიზაცია დასელებისა, რომელიც მთელის რუსეთის სახელით ექომაგებოდა ხალხს და ერთ ხანს ეროვნულ დემოკრატიული მიმართულების ჯგუფები დაიჩრდილენ.. თითქმის გათიშულნიც კი დარჩენ...

ხალხში ჰქუხდა ხმა დასელებისა და ამ სახელმა დაჰფარა ყველაფერი..

ჩვენ არ შევუდგებით კრიტიკას მარქსის მოძღვრებისას, ამისი აქ არც დროა და არც გარემოება, მხოლოდ ამ კრიტიკამ იქამდე გაამწვავა საქმე, რომ მოწინაამდეგენი „ხალხის მოღალატეებათაც, კი იქმნენ მონათლულნი და აი დღესაც, როგორცა ხედავთ, ვინც კი გაჰბედავს და თავის საკუთარ აზრს გამოსთქვამს, შეუნდობარი კვდება...

ლადო დარჩიაშვილი პირველ ხანებში ჩვენებური წმინდა წყლის მარქსისტი იყო. „ჩვენებური" მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ ჩვენი მარქსისტები—ეს არავისათვის დამალული არ არის და მგონია არც უნდა ეწყინოთ ჩვენ დასელებს—სამშობლოსა და ეროვნულ საკითხს მესამე-მეოთხე ხარისხოვან ღირებულებათა სთვლიან. ამ საკითხის შესახებ, პირველად არაფერს ამბობდა ლადოც მაგრამ როცა დავაჟკაცდა, გამოიწაფა, მოიარა ევროპა, შეისწავლა მეცნიერება და დაბრუნდა სამშობლოში—აქაურმა დასელებმა ის ველარ იცნეს და აღარც იმან იცნო იგინი. ლადოს პირველმა წერილმა, რომლის ერთი მუხლიც დღეს იბეჭდება ჩვენს გაზეთში და რომელიც დაიბეჭდა ამ ათი წლის წინად განახლებულ „ივერიაში", (იხ. „ივერია" 1905 წ. №147). დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მის ამხანაგთა შორის. სამაგიეროდ უკმაყოფილოდ დარჩა ეს ყოვლად პირწმინდა დემოკრატი და მედგარი მებრძოლიც თავისი ამხანაგებისა და რამდენიმე წლის შემდეგ იძულებული შეიქნა დაეარსებინა თავისი საკუთარი ორგანო, საჯაროთ მოითხოვა საქართველოს ტერიტორიალური ავტონომია, ქართველი ერი და მისი ინტერესები გაიხადა თავის მოღვაწეობის პირველ საზრუნავ საგნად და ნაციონალური თვითგამორკვევა საქართველოისა აღიარა არა ბურჟუაზიულ მიდრეკილებათ, როგორც ესა ჰგონიათ ჩვენს დასელებს, არამედ წმინდა დემოკრატიულ საქმედ.

ამგვარი სწორი გამოსვლით ლადომ გადაიმტერა თავისი ამხანაგები. სამაგიეროდ მან ჩაუყარა საძირკველი ახალ ჯგუფს „ავტონომისტ-სოციალ-დემოკრატებისას", რომელი ჯგუფიც ერთხანს მოღვაწეობდა „ბათუმის გაზეთში" მერე „შადრევანში" და ახლა კი აპირებს თავისი საკუთარი ორგანოს დაარსებას.

უთანხმოებამ ამხანაგებთანა და ხელმოკლეობამ ლადო დროებით ჩამოაშორა სამწერლო ასპარეზს.

იგი კვლავ აპირებდა მუშაობის დაწყებას, მაგრამ შავმა სიკვდილმა უსწრო უცხო მხარეში და კალამი, ცოცხალი და მედგარი კალამი, ხელიდან გააგდებინა.

მოკვდა უდროოდ ლადო! მისმა სამშობლომ და ქართველმა დემოკრატიამ მისის სიკვდილით დიდი ძალა დაჰკარგა, მაგრამ თუ ჩვენ გავიხსენებთ რა სიკეთის მოტანაც შეუძლია მის მოძღვრებას, თუ ისეთისავე მეცნიერულის მომზადებითა, წრფელი და უანგარო სიყვარულით ვემსახურეთ ხალხს, როგორის თავგამოდებითაც ემსახურებოდა ლადო, მე ღრმათა მწამს, რომ შორს აღარ იქნება ის დრო, როცა მშრომელი ხალხი თვითვე დააფასებს თავის მოღვაწეებს და ისეთი სახელწოდებანი, როგორც მაგალითად „ხალხის მტრები და მოღალატეები" იმათ ადრესზე, რომელთაც თავი შესწირეს ან ახლა სწირავენ ჩვენ ხალხსა და სამშობლოს, მხოლოდ შავ ლაქად დარჩება ჩვენის მოსისხლე მტერის „ძველის გაუგებრობისა, ჩვენივე უცოდინარობისა და უმეცრებისა".

ამის თავმდებია ლადოს დღევანდელი გლოვა და ის წმინდა ცრემლი, რომლითაც შორიდან ვრწყავთ დღეს დაობლებულ საფლავს უდროოდ დამჭკნარ წმინდა ქართველურის, ხალხოსნურის მოღვაწისას

ია ეკალაძე

ადამიანური ღირსების აუცილებელი საშუალება მოუპოვოს.

თუ კერძო საკუთრებას პიროვნების თავისუფლებისა და კერძო ინიციატივის, თაოსნობის, აუცილებელ პირობად ვსთვლით, მაშინ, უეჭველია, შემდეგი პრინციპი უნდა აღვიაროთ: კერძო საკუთრება ყველას უნდა ჰქონდეს და არა მარტო ზოგიერთს.

და, ვინც ამბობს, ერთი მხრით უნდა იყვნენ მდიდრები, მეორე მხრით კი არაფრის მქონებელი—პროლეტარებიო,—ის—კერძო საკუთრების უარმყოფელია.

მაგრამ როგორ, რა გზით შეიძლება განხორციელდეს ჩვენი იდეალი? საზოგადოებას (და სახელმწიფოს) თვთეულის კერძო მესაკუთრის გაპროლეტარებისაგან დასაცავად ბევრი სხვადასხვა საშუალება მოეპოება.

მაგალითად, საზოგადოსა (და სახელმწიფო) ბანკებს შეუძლიათ გამოისყიდონ დიდ მემამულეთაგან ლატიფუნდიები (დიდი მამულები) და გაუნაწილონ წვრილ მესაკუთრეთ იმ პირობით, რომ თვთეულმა თავისი ხვედრი ვალი წვრილ-წვრილად გაისტუმროს. სახელმწიფოსაგან უზრუნველყოფილი საურთიერთო ნდობის ამხანაგობანი აღმოუჩენენ მათ შემწეობას მოკლევადიანი სესხით. ამგვარივე საკრედიტო დაწესებულებანი დაეხმარებიან თვთეულ ხელოსანს სახელოსნოს გამართვასა და მასალის შეძენაში, სახელმწიფოსაგანვე უზრუნველყოფილი კოოპერატივები აღმოუჩენენ წვრილ მესაკუთრეთ ბაზარსა და განათავისუფლებენ მათ ჩარჩებისაგან და სხ სახსარი, საშუალება კი ამ დიადის სოციალური რეფორმებისათვის—იქნება პროგრესიული გადასახადი შემოსავლის კვალობაზე, დემოკრატიული თვთმართველობა და სხ.

აქ უნდა აღვნიშნოთ ერთი დიდმნიშვნელოვანი საძიებელი. ჩვენ უარვყოფთ დიდი მამულების, ე. ი. ლატიფუნდიების, ან დიდი ქარხნების იძულებითს ჩამორთმევას, რადგან იძულება, ჯერ ერთი, წინააღუდგება კერძო საკუთრების პრინციპსა და სპობს, მაშასადამე, პიროვნების წყურვილს, სწრაფვას კერძო საკუთრების შეძენისადმი და, მეორე, ხელოვნურად ფოლავს, ამცირებს ჩამორთმეული ქონების ღირებულებასა და აკოტრებს კერძო მესაკუთრეს. მაშასადამე, ამგვარი ეკონომიურ-სოციალური ღონისძიება ორი მხრით არის მავნებელი:

პირველად მით, რომ ასუსტებს, აქარწყლებს პირად ინტერესს, რომელიც ეკონომიური განვითარების ერთ-ერთს უმთავრეს მიზეზს წარმოადგენს, და, მეორე, წარმოშობს საერთო ეკონომიურ მოუწესრიგებლობასა და კრიზისს, რადგან ერთის რომელისამე სოციალური ჯგუფის გაკოტრება მასთან მჭიდროდ შეკავშირებულ მესაკუთრეებსაც აკოტრებს

ამიტომ იძულებითი მეთოდი ჩვეულებრივ საშინელ რეაქციასა შობს და ხელს უშლის უსაჰიროესი რეფორმის განხორციელებას.

მეორე მხრით სახელმწიფოებრივსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს უკრიზისოდ, უტკივრად, ურეაქციოდ და, მაშასადამე, ადვილად შეუძლიათ განახორციელონ ხსენებული სოციალური იდეალი, რომელიც არა თუ კლასთა ბრძოლას არ ამწვავებს, არამედ მთელს ერს,—მდიდარსა და ღარიბს, კაპიტალისტსა და პროლეტარს, დიდ მემამულესა და გლეხს, გარეშემოიკრებს და შეანაწევრებს.

ამგვარად, განსხვავება ჩვენსა და სოციალისტებს შორის უმთავრესად ის არის, რომ, მაშინ როდესაც მათ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციები კერძო საკუთრების მოსასპობ იარაღად მიაჩნიათ და სახელმწიფოებრივი უფლების ხელში ჩაგდებისადმი ამ მიზნისთვის ესწრაფვიან, ჩვენ პირიქით ხსენებული ორგანიზაციები კერძო საკუთრების გასაღონიერებლად და გასაფართოებლად გვინდა მოვიხმაროთ; მაშინ როდესაც ისინი ამ საკითხშიაც, როგორც ყველაფერში, კლასთა ბრძოლის უკიდურესობის აუცილებლობას აღიარებენ, ჩვენს იდეალს, პირიქით შემკრებელობითი და შემნაწევრებელი ეროვნული სოციალური მნიშვნელობა აქვს.

და, თუ ექსპროპრიაციები, ე. ი. ქურდობა და მტაცებლობა, პირად და სნებად გაუჩნდა დღეს ჩვენს ერს და ჩვენმა გლეხმა მიწის ყიდვაზედაც კი გული აიცრუა და მამულ-დედული ხელიდან გაუშვა, ამის ერთ ერთი მიზეზი სოციალიზმის ქადაგებაც იყო.

დიაღ! დიდი ეროვნული უბედურობაა, რომ კერძო საკუთრებას დღეს ჩვენში ფასი არ აქვს და სხვისი ქონების მიმთვისებელთა ზნეობა იმდენად დაეცა, რომ ბავშთა და მოხუცთა მოტაცებასაც კი არ ერიდებიან! ასეთს მდგომარეობაში, როდესაც კერძო საკუთრება საშიშარია, ერთი მხრით, ეკონომიური წარმატებისადმი სწრაფვა და ხალისი ჰქრება და მეორე მხრით, თვთეული მოქალაქის სულს რეაქცია იპყრობს. და, თუ დღეს ყველგან რეაქცია თავის გამარჯვებას დღესასწაულობს, ამაში, უეჭველია, სოციალისტურ მოძრაობასაც უდევს წილი

მაშ, ჩვენი ეკონომიური იდეალია—კერძო საკუთრების განმტკიცება დემოკრატიულს, ხალხოსნურ საფუძველზე.

ვასილ წერეთელი.

სამშაბათს, 24 მაისს, საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ

თავადი ვარლამ მიხეილის ძის ერისთვის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის ქვრივი და შვილები.

ქუთაისის ოლქის სააქციზო სამმართველო საჯაროთ აცხადებს,

რომ ამა 1916 წლის 23 მაისიდან

მომატებული იქნება

ბაჟი თამბაქოზე

თამბაქო თუ პაპიროსი გაიყიდება არა უძვირეს იმ ფასებისა, რა ფასებიც აღნიშნულია ეთიკეთის ზემოთ დაწებებულ ,,იარლიკზე'', რომლის ერთი ნაწილი ბანდეროლ ქვეშ უნდა იყოს დატანებული, ან თუ ეს იარლიკი არ აღმოჩნდება—თვით ეთიკეთზე დაბეჭდილ ფასად,

ფასების მომატება ვაჭრებს კანონით სასტიკად აეკრძალებათ 3—1

სალამი სამშობლო მხარეს!..

(საზღვარგარეთიდან დაბრუნებულის დღიურიდან).

სალამი!.. სულ რამდენიმე წელიწადი და ასეთი ცვლილება! გაშტერებული იცქირები გარშემო, გაოცებული უსმენ ნალაპარაკევს და თითქოს არ გჯერება თვალით ნახული, არ გერწმუნება ყურით ნასმენი. არ გეჩვენება ეს ყველაფერი, აღარ გეცნობა სამშობლო მხარე; იგი აღარ ჰგავს წინანდელ სურათს. აბა სადღაა „თავჩაქინდრული, გულ-ჩათხრობილი, სიცოცხლის ძალას გამოლეული ძველი ქართველი, ბატონის წინ რომ, ოთხად მოხრილი, უზომო შრომას ეფარებოდა? დღეს იგი უკვე, საკინძ-შეკრული, წელში გაშლილა; მის ფართო მკერდში საგმირო გული თურმე მოძრაობს; კეთილშობილურ სიამაყით მას თავიც და მკლავიც ზე-აღუმართავს; იგი მოძრაობს, იგი მოქმედებს და ჰლამობს, ზეცას მოსტაცოს ღვთიური ცეცხლი.

თვით ეს ბუნება, სამოთხის დარი, სწორ უპოვარი ტურფა ბუნება, ნაღველს აღარ გვბერს, სევდას არ გვიშლის, ახლა სხვა გვარად გვეალერსება; ნახნავნი, ველნი მინდორნი, ტყენი ახლა სხვა გვარად იცქირებიან, ახლა სხვა ჰანგზე, სხვაფრიც აწყობენ და აღელვებენ სულის სიმებსა. აგერა ჩვენი ალაზნის ველი, ჭირნახულებით აჭრელებული, წინათ რომ გუჯრებს მოგვაგონებდა, სად ცრემლით, ოფლით და სისხლით ჩვენი მუშაკის ტანჯვა-ვაება, უიმედობა და ბედ-შაობა აღბეჭდილიყო; დღეს სულ სხვა გვარად მიმოიცქერის, სულ სხვა სიოსა მიმოაქროლებს. კავკასიის მთები, ბუმბერაზებად ცისა სივრცეში ამოზიდულნი, წინათ რომ მწუხრათ გვიდარაჯებდნენ არ ჩამქრალიყო ქართველის კერა! თითქოს შეკრულნი და შებოჭილნი, გრძნეულ ძალთაგან, უძრავად მდგომნი, ველარ ხედავენ სიცოცხლის ტალღას, და ვერც არჩევდნენ თვით მაჯის ცემას. ყინვით ნაკვეთი იმათი თავი შავ-ბნელ აჩრდილებს დაემონავათ; იქ, იმათ ქედზე მძიმე ტრაგიზმით აღსავსე სურათს ჩვენ განვსჭვრეტავდით. ამირან-გმირი მწარე ბედისგან უძრავ ბორკილით მიჯაჭვულიყო და იმის გულღვიძლს ჰგლეჯდა, სწიწკნიდა გააფთრებული შავი არწივი.

დღეს თუ კვლავ ვხედავთ იქ ამირანსა იგი სულ სხვა გვარ სურათს გვიჩვენებს; მას ცალი მკლავი ბორკილებიდან ამოუღია და შესდგომია სამარადისოდ მილეწმოლეწოს მონობის ჯაჭვი. კავკასის მთებიც ოქროს ტახტს სჭედენ, რომ სათანადოდ მიეგებნენ განთიადის ცხოველ სხივებსა. და ეს სპეტაკი, ნარნარი, ლაჟვარდოვანი ცისა კამარა, მისტერიულ მნათობთ სავანე, სად ბადრი მთვარე მხოლოდ კაეშანს ამოძრავებდა და მხოლოდ ცრემლებს ლოცვად იღებდა! დღეს თვითონ ზეცას ნირი ეცვალა, იგი პირქუშად აღარ დაგვყურებს, დღესასწაულებრ შუბლ გადაშლილსა, მას თავის ქნარზე თავისუფლების სიმი გაუბამს და ღვთიურ გრძნობით მგზნებარ თითებით ციურ მუსიკას ციურად აჟღერს: „ბრძოლა... გამარჯვება.. სიცოცხლე... სიყვარული... სიყვარული"!

ჰოი, სამშობლოვ, მარად ტანჯულო, ნუ თუ ჩამოჰკრა ჟამმა ნეტარმა და ვეღირსებით შენს აღდგომასა? ნუ თუ ჩვენ სკენაც გადმოიხედა და მოგვიგონა ისტორიამ? ნუ თუ ყველა ეს სინამდვილეა და არა სიზმრად მოვლინებული?.. ჰაი, ჰაი, რომ სინამდვილეა! სიზმრების შინჯვა, ლაჩარი ნატვრა, ფუჭი ოცნება გულგამეხებულ შენს შვილი შვილებს წარსულისათვის გადუტყორცნიათ; ცხოველი სიტყვა, ნამდვილი საქმე შენს უბე-კალთას აღუმართნიათ და ახალ დროის, ახალ აბჯარში დარაზმულები საკაცობრიო ბრძოლას შებმიან. ლომებრ მამაცნი მედგრად, უშიშრად წინ მიიწევენ, ისწრაფვიან, რომ გამოაღონ შრომის სუფევის პირველი კარი. იმათი საქმე, მათი გმირობა შორით-შორამდე ამბად წასულა; ზღვა-ხმელეთს იქით განათლებული კაცობრიობა აღტაცებული შენ შემოგცქერის, დიად საუკუნის დიდებულ დროშას შენკენა ჰხრიან, სალამს გაძლევენ და გამხნევებენ; ძირს არ დაუშვა გმირული მკლავი, შენვე ჩამოჰკა გამარჯვებისა მეჯლისის ზარი. ისტორიკოსი-მეცნიერები მსოფლიო წიგნში შენ გიმზადებენ ოქროს ფურცლებსა და უცხოეთის პოეტ-რომანისტს ახლა შენ აძლევ ზე-შთაგონებას.

ჩვენო სამშობლოვ, ჩვენო ღვთაებავ! მუხლ მოდრეკილი შენს წინა ვდგევარ და სასოებით, კრძალულებითა სალამს მოგიძღვნი, გეთაყვანები. მინდა შეგეხოვო, ნება მიბოძო, რომ ვეამბორო სისხლით დაღარულ შენს გმირულ მკერდსა, გადაგეხვიო, გულში ჩაგეკრა და სიხარულისს ცრემლი ვაფრქვიო!...

ლ. დარჩიაშვილი.

„ივერია" № 147, 1905 წ.

ახალი ამბავი

ქუთაისი.

დღეს, დილის 11 საათზე, მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი ქართველი პუბლიცისტის-ლადო დარჩიაშვილის სულის მოსახსენებლად.

◆ **გუშინ**, ქალაქის თეატრში მოხდა საგუბერნიო მარშლის არჩევანი, ყუთი დაიდგა დ. ო. ნიჟარაძემ (129 თეთრი, 78 შავი) და ს. მიქელაძემ (91 თეთრი, 121 შავი) არჩეულ იქნა დ. ნიჟარაძე.

◆ ამ ზაფხულზე აკადემიკოსს ნიკო მარს აზრათ ქონია ორი თვით სვანეთში წავიდეს სხვა და სხვა წარწერის შესასწავლათ და გამოსაკვლევათ ამიტომ საიმპერატორო აკადემია სთხოვს ქუთაისის გუბერნატორს, რომ ორი თვით განთავისუფლონ ალპანის ბოქაული ბ-ნი გაბლიანი, რომელიც დაეხმარება ნიკო მარს სვანეთის გულახის საზ. წარწერების გამოსაკვლევათ.

◆ აჭარელთა პროცესი 18 მაისს სასამართლომ გამოაცხადა განაჩენი: 43-ს ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა 180 მუხლის მე-3 პუნქტის ძალით, 5-ს ოთხ-ოთხი წლის კატორღა და 32 გაამართლა. სასამართლომ შუამდგომლობა აღძრა მეფის მოადგილის წინაშე, რათა ყველას, გარდა ხუთისა, სიკვდილით დასჯა სხვა სასჯელზე შეეცვალონ.

◆ 23 მაისს ქუთაისის გუბერნატორის გრ. გუდოვიჩის თავმჯდომარეობით დანიშნულია სხდომა სოფლის მეურნეობის შესახებ საკითხების გამოსარკვევად.

◆ ს. ამბროლაურის (რაჭ. მაზ.) მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, რომ ნება დართოს დააარსონ მომხმარებელი საზოგადოება „პროგრესი".

◆ დღეს, საღამოს 8 საათზე, არქიელის გორაზე ალექსანდრე ახვლედიანის სახლში ახალგაზდა სცენის მოყვარეთა მიერ გაიმართება საღამო, სამ განყოფილებათ ა.) გრ. ორბელიანის „სადღეგრძელოდან" ცოცხალი სურათი. ბ.) კოტე ფოცხვერაშვილის 3 მოქ პიესა სტუდენტთა ცხოვრებიდან „აშენდა საქართველო". ავტორის ხელმძღვანელობით და თანადასწრებით. გ.) სამუსიკო განყოფილება.

◆ გუშინ თავად-აზნაურთა კრებაზე კვლავ არ დაუშვეს პრესის წარმომადგენელნი.

◆ ხუთშაბათს, 19 მაისს, საღამოს 9 საათზე, რკინის გზის ლიანდაგზე მიხაილოვის სადგურის ახლოს ვერაგულათ მოჰკლეს ადგილობრივი გიმნაზიის მასწავლებელი მიხეილ რატიანი.

◆ ქალაქის საავადმყოფოს გამგე უფროსმა ექიმმა შეატყობინა ქალაქის გამგეობას, რომ ქალაქის საავადმყოფოს ექიმები წავლენ დასასვენებლათ: ექ. ჩარექოვი 20 მაისიდან 20 ივნისამდი, ექ. ლორთქიფანიძე 20 ივნისიდან 20 ივლისამდი და ექ. როძევიჩი კი 20 ივლისიდან 20 აგვისტომდი.

ქუთ. ღარიბ ბავშთა მზრუნველი საზოგადოება.

დღეს ხსენებული საზოგადოება ქალაქის ბაღში თავის სასარგებლოთ საჯარო სეირნობას ალლეგრით და სხვა და სხვა გასართობებით მმართავს. იქნება ბევრმა არც კი იცოდეს, თუ რას აკათებს ეს საზოგადოება, რა მიზანს ემსახურება და ან აქამდის რა გაუკეთებია, მიზანი ამ საზოგადოებისა ფრიად მოსაწონი და მიმზიდველია. იგი პატრონობს და მზრუნველობს ქუთაისის მცხოვრებთა უღარიბეს ოჯახებს, რომელთაც არავითარი საშუალება არა აქვსთ არამც თუ თავის შვილების სწავლა-აღზრდისათვის იზრუნვონ, მათი ჩაცმა-დახურვა და სმა-ჭამაც უჭირსთ. აი სწორეთ ხსენებული საზოგადოება მზრუნველობას უწევს ამისთანა უმწეო ბავშებს, ნახევრად მშივრებს, ჩაუცმელ-დაუხურავებს, ობლებს და უპატრონოებს. საზოგადოებამ ამისთანა ბავშთათვის დიდი ხანია გამართა დასაწყისი სასწავლებელი, სადაც ას ორმოცამდის მოსწავლე ქალ ვაჟი ყველა წოდებისა და ხალხოსნობისა პირველ დაწყებითს სწავლას უფასოდ იღებს. მოსწავლეებს უფასოდ ეძლევათ წიგნები და სხვა საჭირო სასწავლო ნივთები, ზოგჯერ ტანისამოსი და ავათმყოფობის დროს უფასო საექიმო დახმარება და წამალიც. ხსენებულ სასწავლებელს არსებობით სხვა სახსარი არა აქვს გარდა მცირედი საწევრო გადასახადისა და ამგვარ გამართულ სეირნობიდან შემოსავლისა.

საზოგადოების გამგეობა დარწმუნებულია, რომ, როგორც წინა წლებში, ისე ახლაც, ქუთაისის საზოგადოება თანაგრძნობით შეეგებება ამ სეირნობას და ამ ფრიად სასარგებლო და სამადლო საქმეს სეირნობაზე მოსვლით ხელს შეუწყობს მზრუნველ საზოგადოებას, რომ მან კვლავ განაგრძოს მზრუნველობა და პატრონობა ამ ფრიად სიმპატიური დაწესებულებისათვის.

ქუთ. გუბ. თავად-აზნ. კრება.

19 მაისი.

კრება მოხდა ქართული თეატრის დარბაზში გუბერნიის მარშლის თავჯდომარეობით, კითხულობენ წინა კრების ოქმს. ბ ნ ვ ალშიბაიას შეაქვს შესწორება: მე და ჩემთან ერთად 11 კაცს ისკი არ გვაინტერესებს, რომ მარშლათ აერჩიათ ძმ ალშიბაიები, არამედ ჩვენ გვინდოდა ისეთი პიროვნება ამოგვერჩია, რომელიც თავისი მდგომარეობითა და წარსულით უფრო შეეფერებოდა ამ თანამდებობას, ვიდრე დადიანი,--რომელმაც სრული კენჭის უფლება მიანიჭა თავის ცოლს, რომელსაც 200 დეს. მიწა აქვს სენაკის მაზრაში, მას უფლება მისცა ზუგდიდის მაზ., სადაც არც ერთი ნაჭერი ადგილი არ გააჩნია.

თ-დი ნ. დადიანი: ეს ოქმის შესწორება კიარა—ხელახალი ლაპარაკია. ბ-ნ ალშიბაიას უნდოდა იმისგამო მიეღო ეს თანამდებობა...

ექ გრ ალშიბაია: ეს სიცრუეა. ეს არ იყო ნათქვამი, ეს პროვოკაციაა და მოუწოდებს თავჯდომარეს წესიერება დაიცვას

გადადიან დეპუტატთა საკრებულოს ხარჯთაღრიცხვაზე. თავჯდომარე კითხულობს სარევიზიო კომისიის მოხსენებას და ცდილობს თავისი განმარტებით შთაბეჭდილება მოახდინოს კრებაზე

ბ-ნი ვ. ალშიბაია შენიშნავს, რომ ასე წაკითხვა სარევიზიო კომისიის მოხსენებისა არ შეიძლება. ჯერ წაიკითხეთ თავიდან ბოლომდე, რომ მოხსენებამ მთლიანი შთაბეჭდილება მოახდინოს კრებაზე და შემდეგ მუხლობრივ ცალცალკე გაარჩიეთ. კრება ბ-ნ ვ. ალშიბაიას ემხრობა. თავჯდომარე განაგრძობს კითხვას.

სარევიზიო კომ. თავჯდ ექ. გრ. ალშიბაია: ჩვენ როდესაც რევიზია გავუკეთეთ დეპუტატთა საკრებულოს, აღმოვაჩინეთ, რომ 1500 მან. არ იყო გატარებული ქაღალდებში, მას მხოლოდ თავისი უბრალო კვიტანციებით გაუხარჯია 1500 მან. იმაზე მეტი, რაც გუბერნიის მარშალს კრებამ გადაუწყვიტა. ამას სჩადის გუბერნიის მარშალი, დ. ო. ნიჟარაძე, როდესაც, მისივე თქმით, დეპუტატთა საკრებულოს უბრალო მოსამსახურეებს, რომელთაც 6—7 თუმანი აქვთ თვიურათ, 6 თვეა არაფერი მიუღიათ ჯამაგირიდან. (ხმები: გუბერნიის მარშალს შეუძლია ისე მოიქცეს, როგორც მას უნდა. არაფერი საჭიროა რევიზია). კრება 10 წუთით შესწყდა.

ბ. კიტა აბაშიძე. არც ერთ დაწესებულებას რევიზიის არ ეშინია. რევიზია ყველგან არსებობს და დიდი მნიშვნელობაც აქვსო.

ბ-ნი ვ. ალშიბაია: სიტყვას თხოულობს. თავჯდომარე სიტყვის ნებას არ აძლევს.

კვირკველია: ბ ბო, უნდა დავსდვათ საზღვარი რა არის წესიერება და რა უწესოება. როდესაც კვიტანციებზე არის ლაპარაკი და ეს ქაღალდებში არ არის გატარებული, ამას უძახიან ჩვენებურ ენაზე გაფლანგვას.

თავჯდომარე (აღელვებით), რადგანაც ასეთი ლაპარაკი შეიქნა 1500 მანეთზე, მე თუმცა ღარიბი კაცი ვარ, მაგრამ მაინც ამ ფულს დაუყონებლივ გავგზავნი წითელი ჯვრის სასარგებლოთ (ხმები: სასაცილოა, რა საჭიროა, განა აქ ცოტა არის შესაწევი საზოგადოება!).

თაყაიშვილი თხოულობს სიტყვას (ხმები: კამათი მოისპოს), როდესაც მე ვთხოულობ სიტყვას, მაშინ „პრეკრაშჩაიტს“ იძახით, როდესაც თქვენ, არა.

თაყაიშვილი განაგრძობს: „ბ-ბო, ასეთი უნოდბლობა გუბერნიის მარშალზე რევა იქნება, რატომ ეუბნებით საყვედურს, იმიტომ, რომ მან რაღაც ორი კაპეიკი სადღაც დახარჯა და მისი კვიტანცია არ წარმოგვიდგინა?“. ღუბერნიის მარშალმა რომ რამდენიმე ასი მანეთი დახარჯოს სადმე და იმის კვიტანცია ჩამოართვას იმ პირს და ასე თავი შეირცხვინოს ამისთანა მარშალს როდი დაუკრავ თავს (საერთო სიცილია), ჩვენ, ბატონო, თავად-აზნაურობა ჩამოვსულვართ აქ დიდ საქმისათვის „ღუბერსკი“ და „უეზნი“ მარშლები უნდა ამოვირჩიოთ და შემდეგ ჩვენ ჩვენ სახში საქმეები გვაქვს და იქ წავალთ.

ბ-ნი კ. აბაშიძე: ბ-ნო, ასე ლაპარაკი არ შეიძლება, თითქოს ჩვენ ახლა მარტო კენჭების ჩასაგდებათ ჩამოვსულვიყოთ, ახლა მე-17 საუკუნე არ არის, რომ მხოლოდ ეს გვაინტერესებდეს. ახლა მე 20 საუკუნეა ცხოვრება გართულდა, დიდი გადასაჭრელი საკითხები წამოგვიყენა, რომელსაც ჩვენ უთუოდ ანგარიში უნდა გავუწიოთ. სწორედ წინათ იყო, რომ უანგარიშოთ და უთავბოლოთ იქცეოდენ ასეთი კაცები და ახლა ყველაფერს ანგარიში ესაჭიროება. ამიტომ საჭირო იყო სწორი ანგარიში და კანონიერი წარმოება დეპუტატთა საკრებულოს კანცელარიისა.

თაყაიშვილი: დიახ, ჩვენ მე-17 საუკუნის ხალხი ვართ, მაშინ შენ დაბადებული არ იყავი, როდესაც ჩვენ ამ საქმეს ვაწარმოებდით და დღემდი ასე პირნათლად მოვიყვანეთ. თქვენ რაღაც პარტიებათ დაიყავით „ცოციალ ფედერალისტი“ და „ცოციალ-დემოკრატია“ წაახდინეთ ქვეყანა, ყველგან შეიტანეთ თქვენი უზნეობა, მაგრამ ჩვენს საზოგადოებას, მადლობა ღმერთს, ჯერ ვერაფერი უქენით.

ალ. წერეთელი (აღელვებით) მე მიკვირს, რომ თავჯდომარე ნებას აძლევს ვინმეს შეეხოს ასეთი სიტყვებით ისეთ დიდმნიშვნელოვან ჯგუფებს, რომელსაც შესაფერი ადგილი უჭირავს ჩვენს ცხოვრებაში. დიახ! მე 17 საუკუნის ხალხს არ შეუძლიათ შეეხონ ამ ჯგუფებს. დიახ! უნდა იცოდეს ქართველმა თავად-აზნაურობამ, რომ გარეშე ამ ჯგუფებისა მას ცხოვრება არ შეუძლია. კამათი შესწყდება.

თავჯდომარე მოახსენებს კრებას, თუ რა გააკეთა საერობო თათბირზე ამორჩეულმა კომისიამ. ამის შესახებო, სთქვა თავჯდომარემ, კომისიამ უმოქმედობა გამოიჩინაო.

კ. აბაშიძე და სხვები აღნიშვნენ, რომ კომისიამ და ამორჩეულმა გაგზავნილმა პირებმა რაც შესაძლებელი იყო გააკეთეს და კიდეც წარადგინეს კომისიაში. თავჯდომარე მე არ მინახავს და არც არაფერი ვიცი, თუ როგორი პროექტი იყო შემუშავებული.

ბ-ნი ვ. ჭილაძე: ბ-მა ს. მიქელაძემ დაიბარა კომისია თბილისში ყოფნის დროს ჩვენი ბანკის განყოფილებაში, მაგრამ თქვენ არ მობრძანდით.

თავჯდომარე: მე მიტომ არ მოვედი, რომ დაბარების ინიციატივა ჩემიდან უნდა გამოსულიყო და ჩემთან უნდა მოსულიყავით.

კ. აბაშიძე: ვინ გიშლიდათ მერე? (ხმები: ეს კნიაზური ყალბი თავმოყვარეობა ჩაგიდენიათ).

ამის შემდეგ ამოირჩიეს კომისია: (შორ. მაზ.) კ. აბაშიძე (სენ. მაზ.) მ. ფაღავა (რაჭ. მაზ). ი ბაქრაძე (ქუთ. მაზ.) ს. ლორთქიფანიძე და (ლეჩ. მაზ.) ოთარ დადეშკელიანი და სხვები.

კრება დაიხურა $3^1/_2$ საათზე

ქართველები და კოოპერაცია,

1905 წელმა ბევრი განათლებული პირი და პრაქტიკულ მუშაობას მიჩვეული ინტელიგენტი გამოგვაცალა ხელიდან, სამაგიეროდ ჩვენი ფართო მასსა მიაჩვია თავის თავის ზრუნვას, საკუთარი წყლულის განმკურნავ საშუალების სხვის დაუხმარებლათ გამოძებნას და გადაეჩვია სხვის ხელში მაყურებლობა, რაც ასე ახასიათებდა აქნობამდე ქართველს. მოკლედ ცარიელ სურვილს ძლიერი ნებისას ზედ დაერთო ერთგვარი სტიქიური გაჰრა პრაქტიკულ მუშაობისკენ. ეს ითქმის, როგორც ინტელიგენტებზე, ისე მუშებსა და გლეხობაზე.

ერთი ასეთი პრაქტიკული მუშაობის გავრცელების სამაგალითო ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს კოოპერაციის გავრცელების საქმე საქართველოში. დღეს კავკასიაში ქართული კოოპერატივები რიცხვით ოთხჯერ მეტად აღემატებიან სხვა ერების კოოპერატივებს. ხოლო კოოპერატივის კეთილი მხარეები ორკეცდება მით, რომ სოფლის მცხოვრებთ ანთავისუფლებს უცხო ჩარჩმევახშეების მონობისაგან, რომელნიც დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც პირდაპირ სიკვდილის განხორციელებანი იყვნენ ქართველი გლეხისთვის. კარგათ შეუგნია ქართველობას ესოდენი სარგებლობა კოოპერაციისა და ინტენსიურათ დაუწყვია სარგებლობა მით. ამის შედეგი ნათლად გადაიშალა სრულიად კავკასიის კოოპერატივთა წარმომადგენლების ყრილობაზე. პრეზიდიუმის, გამგეობისა და კომისიების წევრებად უმეტესად ქართველები გავიდენ ამნაირად, ქართველებმა კოოპერაციაში კავკასიის სხვა ერთა შორის პირველი ალაგი დაიკავეს. ეს მით უფრო სასიხარულოა, რომ სომხის გამოქცეულები და სომხის ხატისოვ მილოვის კაპიტალისტთა ჯგუფი ჩვენს კულტურ ტრეგერებათ დასახეს თვით „განათლებულ“ კადეტთა ორგანოებმაც-კი.

X.

ზოგი რამ.

როგორც ვიცით, ბათომის მხარეში თანდათან ვითარდება და იზრდება ჩაის მოსავალი.

ამ მხარის ჩაი კარგა ხანია გასინჯა და საუკეთესო ღირსების ჩაით სცნო მცენარეთა გამომკვლევმა ლაბორატორიამ.

დღემდის სამხრეთ საქართველოში მხოლოდ სადგურ ჩაქვაში არსებობდა საჩაიე ქარხანა, ახლა კი, რადგან ჩაის მოსავალი მეტად გაიზარდა, სხვადასხვა უცხო ფირმებს შუამდგომლობა აღუძრავსთ ჩაის კონცესიის საშოვნელად.

ჩაქვის საჩაიე ქარხანა ეკუთნის უცხოელ მწარმოებელს და, როგორც ვხედავთ, დანარჩენ ადგილებშიაც უცხოელები აპირებენ ჩაის წარმოების ხელში ჩაგდებას. დღეს ჩვენ თითქოს გამოვერკვიეთ და ნიანგის ცრემლებით მოვსთქვამთ ჩვენი მამების შეცდომებს, რომ მათ ჩვენი დოვლათის მომცემი ადგილები სულ უცხოელებს გადასცეს და ერთმანეთს ვარწმუნებთ, დღეიდან ეს შეცდომები აღარ უნდა განმეორდესო.

დიახ, „შეცდომები“ აღარ უნდა განმეორდეს და თუ ჩვენ „რწმუნებას“ მარტო სიტყვიერი მნიშვნელობა არ აქვს, ახლავე დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სამხრეთ საქართველოს ჩაის წარმოებას და იგი უთუოდ ჩვენს ხელში უნდა დატრიალდეს... ამას გვიკარნახებს ჩვენი ეროვნული მიზნები...

მაშ, ნუ დავსტოვებთ უყურადღებოთ ამ ეროვნულ საქმეს და მის ჩვენდა საკეთილდღეოთ წარმოებას ხელი მივყოთ, შეძლებისადაგვარად მოქმედება დავიწყოთ.

⁂

⁂

მინისტრთა საბჭოს თავჯდომარეს, შტიურმერს, „ბანკეტი“ გაუმართავს. ბანკეტს, სხვათა შორის, დასწრებია სათათბიროს თავჯდომარე როძიანკო .. შტიურმერს უკითხავს როძიანკოსთვის, თუ რამდენ ხანს გაგრძელდება საზაფხულო სესია? როძიანკოს უპასუხნია: „სათათბიროს საზაფხულო სესია მეტად ხანმოკლე იქნებაო“.

ამას დიდი სიხარულით მიგებებია პრემიერი შტიურმერი და უთქვამს: „მეც მაგას მოველოდიო“...

ირ—დი.

ზავი.

გერმანიის საწინააღმდეგოთ შემდგარი კოალიცია ამ ბოლო ხანს უფრო რეალ თვალსაზრისით ხელმძღვანელობს.

დღეს შეთანხმების სახელმწიფოთა „ომის შკვლევარნი“ სინამდვილეს გვერდს აღარ უვლიან და სხვაგვარ კილოზე საუბრობენ მკითხველებთან. მაგალითად, გაზეთ „რეჩ-ში“ ბ. ბრიუსელელს მოჰყავს ცნობა გერმანიის აწინდელ სამხედრო ძალების შესახებ. ამ ჟამად გერმანიას თოფს ქვეშ ჰყოლია 7 მილიონი კაცი და, მისივე სიტყვით, ომი 1920 წ. რომ გაგრძელდეს, გერმანიას კიდევ რჩება 3 მილიონი. მაშასადამე, გერმანიის შემუსვრაზე ლაპარაკი ოცნება ყოფილა.

მაშ რა გზით უნდა განახორციელონ მოკავშირეებმა თავის მიზნები და რაგ ზით უნდა ჩამოვარდეს ზავი? აი საჭირბოროტო კითხვები.

პირველ კითხვაზე არაფრის თქმა არ შეგვიძლია, რადგანაც შეთანხმების სახელმწიფოთა ნამდვილი მიზნები ჩვენთვის დაფარულია.

რაც შეეხება ზავს, ეს, როგორც ბევრჯერ გვითქვამს, უპირველეს ყოვლისა დამოკიდებულია ბრძოლის ველზე თვალსაჩინო ცვლილების მოხდენაზე და არა ამა თუ იმ სახელმწიფოს სამუდამოთ დამარცხება-განადგურებაზე.

სამუდამოთ მოსპობა რომელიმე ერისა, დღეს მხოლოდ ოცნებათ უნდა ჩაითვალოს.

ISer.

პროვინციის ცხოვრება.

დ. ახალ-სენაკი. არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული ქართულ ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე დ. ახალსენაკის ინტელიგენციის და მცხოვრებთა სრული უმოქმედობის შესახებ. საქართველოს არც ერთ კუთხეში თქვენ ვერ შეხვდებით ახალ-სენაკივით კულტურას ჩამორჩენილ დაბას.

სენაკის საზოგადოებას არ ჰქონდა არც ერთი თვალსაჩინო და საყურადღებო სასწავლებელი, გარდა ერთი ოთხკლასიანი სასულიერო სასწავლებლისა, სენაკის საზოგადოებას არ ჰქონდა ერთი ფრიად უსაჭიროესი კულტურული დაწესებულება, როგორც არის თეატრი, რის გამოც სენაკში ძვირად იმართებოდა წარმოდგენები, ლექციები და საღამოები. სცენის მოყვარეები, რომლებიც დროგამოშვებით ცდილობდენ მოეწყოთ ქართული წარმოდგენა, მეტად ძნელსა და [illegible] ობდენ შესაფერი დარბაზის და სცენის მოწყობილობის უქონლობის გამო [illegible] სიტყვას არ განვაგრძობთ, ვინაიდან მრავალჯერ ყოფილა აღნიშნული და ნათქვამი ყოველივე ის, რის თქმაც საჭირო იყო, მხოლოდ ვიტყვით, რომ საქმის ასეთს ცუდ მდგომარეობას ნათლად ხედავდა სენაკის ინტელიგენცია მაგრამ საქმის მოსაწესრიგებლად და გასაუმჯობესებლად არავითარ მზრუნველობას არ იჩენდა, მის უმოქმედობას ბოლო არ ჰქონდა. მაგრამ გავიდენ დრონი და სენაკის ინტელიგენციამ ნათლად იხილა მთელი შედეგები თავისი უმოქმედობისა, დაინახა თავისი შეცდომები და აი, როგორც ვხედავთ ამ ბოლო დროს შეუდგა თავისი შეცდომების გასწორებას.

ამ მოკლე ხანში სენაკში გახსნილ იქნება უმაღლესი პირველ დაწყებითი სასწავლებელი, რომლის სასარგებლოდ უკვე შეგროვილია რამდენიმე ათასი მანეთი.

დიდი ხნის ლოდინის შემდეგ სენაკელები ვღირსეთ თეატრის დარბაზსაც, რომელსაც მოკლებული ვიყავით. ძმებმა სანიკიძეებმა თავს იდვეს ეს საქმე და ღირსეულადაც შეასრულეს თავიანთი ვალი საზოგადოების წინაშე. დღეს სენაკს ისეთი თეატრი აქვს, რომელიც ოთხასამდე კაცს იტევს. მართალია, ამ დარბაზს მრავალი ნაკლი აქვს, და ერთი უმთავრესი ის არის, რომ სცენა პატარაა, მაგრამ მაინც დღეს დღეობით შეიძლება სისტემატიური წარმოდგენებისა და ლექციების მართვა

აქ დაარსდა აგრეთვე დრამატიული წრე, რომელიც უკვე შეუდგა მოქმედებას. წრემ განიზრახა საზამთრო სეზონისთვის ქართველ მსახიობთა მოწვევა წრის სახელმძღვანელოდ და სისტემატიურად წარმოდგენების სამართავად. ეს ყოველივე იმის მაჩვენებელია, რომ სენაკის ინტელიგენციამ თავი დაადწია სადათის ძილს და მოქმედების გზაზე გამოვიდა. ჩვენ ძლიერ გვახარებს ეს მოვლენა და იმედი გვაქვს, მომავალშიც ისეთივე ენერგიით განაგრძობს სენაკის ინტელიგენცია თავის მოქმედებას, თუ კი მას მართლა გულით სურს ხალხის სამსახური.

სენაკელი.

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**
გამომცემელი ამხან. „**სამშობლო**“

მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ყორყოლაძეების სამკურნალო

აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით.

თ.

ავათმყოფნი სუსუნატით

დიდი დროის დაკარგვისა და თავიანთი სენის უშედეგო წამლობის მაგიერ ამჟამათ გამოგონილია პროფეს. მორნის მიერ ახალი საშუალება, რომელიც მეცნიერულათ არის შემზადებული და ავათმყოფთ სრულებით კურნავს მოკლე დროში ამ სენისაგან. ეს საშუალებაა **ბლენიოზოლი** პროფესორ მორნისა.

ბლენიოზოლი შესდგება ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელემენტებისაგან და სააქიმო პრაქტიკაში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც რადიკალურმა გამკურნებელმა საშუალებამ ქრონიკულ სუსუნატისა, ტყლიპისა, ჭაჭებისა და შარდის ბუშტის ანთებისაგან. პროფ. მორნის **ბლენიოზოლი** რადიკალურათ სპობს გონორეის ბაცილებს, რა სიღრმემდისაც უნდა იყოს სხეულში ჩამჯდარი; ბლენიოზოლი ახდენს შარდის ბუშტის დეზინფექციას და მალე სპობს სიმწვავეს, ტკივილებს, დენას და სრულებით ასუფთავებს სუსუნატის სენით მოდებულ სხეულის ნაწილებს. ყველანი განურჩევლათ სქესისა, ვინც კი შეპყრობილი არიან ამ სენით ვალდებული არიან იხმარონ **„ბლენიოზოლი“**, როგორც ერთადერთი საშუალება გონორეი—სუსუნატისაგან გასათავისუფლებლთა. ამ საშუალებით მორჩენილ სნეულება მეორეთ აღარ განახლდება. კლინიკურ საავათმყოფოებში გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ბლენიოზოლი დასაწყისშივე სპობს სუსუნატისაგან წარმომდგარ შედეგებს. რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლინიკასა და საავათმყოფოებში.

ბლენიოზოლი იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „სააქიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა“ **პ. შავერზაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში** გიმნაზიის ქუჩა, თეატრისპირდაპირ.
ფასი ერთი კოლოფის 3 მან. სრული გათავისუფლებისათვის საჭიროა 3—5 კოლოფ.

პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.

ბ. კოლეგოვი იტყობინება: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლის“ ხმარების შემდეგ სრულებით გავთავისუფლდი სენისაგან, რისთვისაც გულითად მადლობას გწირავთ. ყველა ჩემს ნაცნობს ვურჩევ მიმართონ ამ საშუალებას, რადგანაც ბლენიოზოლმა მომანიჭა სრული სისაღე სხვა დანარჩენი საშუალებანი, რომელიც კი ვიხმარე წამლობის დროს ცუდათ მოქმედებდენ და ვერც სნეულებისაგან გამათავისუფლეს.

თქვენი ურდგულესი ია. ნ. კოლეგოვი.

ქ. პეტროვსკი სირ-დარის ოლქი. 9 (წლიური)